საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მალხაზი ბეჟუაშვილი

გლობალიზაციის პირობებში, რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ენის ჰარმონიზაციის აუცილებლობა

სადოქტორო პროგრამა - არქიტექტურა

შიფრი - 1101

არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2022 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: _____პროფესორი - მედეა მელქაძე

რეცენზენტი: _____ პროფესორი - ნინო იმნაძე

რეცენზენტი: _____ პროფესორი - თეიმურაზ ჯორჯაძე

დაცვა შედგება 2022 წლის “20“ ივლისს, 11:00 საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი I, აუდიტორია 405ც

მისამართი: 0160, თბილისი, კოსატავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი _____

გლობალიზაციის პირობებში, რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ენის ჰარმონიზაციის აუცილებლობა

რეზიუმე

კვლევის არსი პირდაპირ უკავშირდება იმ მოცემულობას, რაც მთელს მსოფლიოში დგას, როგორც პრობლემა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე არქიტექტურის ლინგვისტიკა პირდაპირ და უშუალოდ განპირობებული, და განსაზღვრულია თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებით. აღნიშნული მექანიკური პროცესი მთავარი გამომწვევი მიზეზია არქიტექტურის, როგორც დისციპლინის - სენსორული გაღატაკების, შემოქმედებით დისკურსთა ტოტალიზირებისაკენ სწრაფვისა და არაჯანსაღი სივრცეების ფორმირების.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომელსაც, რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ვექტორების პარალელურ და გამჭოლ ანალიზზე დაყრდნობით ეტაპებად-სისტემატიზაციაში მოჰყავს აღნიშნული ვექტორები, იძიებს მათ ურთიერთდამოკიდებულებას და ნათლად აყალიბებს მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს, აფიქსირებს არქიტექტურული ლინგვისტიკის ფაზათა მონაცვლეობის პულსაციას და წარმოაჩენს რა არქიტექტურული განვითარების უწყვეტობის აუცილებლობას, პუნქტობრივად აყალიბებს ავთენტური არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელ კომპონენტებს.

ნაშრომში, არქიტექტურული მიდგომებისა და შედეგების პრობლემა-ხარვეზები არტიკულირებულია ქართველი და უცხოელი დარგობრივი სპეციალისტების, არქიტექტურის თეორეტიკოსების, ფილოსოფოსების, ხელოვნებათმცოდნეებისა და კრიტიკოსების ნაშრომების ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით.

აღნიშნული მულტიიდისციპლინური კვლევები, რომელიც საერთო სამეცნიერო ბაზაში ერთი შეხედვით ურთიერთ-განყენებული სახით არიან წარმოდგენილნი, სადისერტაციო ნაშრომში ქრონოლოგიურად არიან შეკავშირებული ერთმანეთთან და ქმნიან თეორეტიკულ ჩარჩოს, რომელიც არათუ უბრალოდ წარმოაჩენს თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებს, არამედ - აყალიბებს მნიშვნელოვან კითხვებს და გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც კვლევის სპეციფიკას.

სადისერტაციო ნაშრომში, მეოცე საუკუნის არქიტექტურული სტილები სისტემატიზაციაშია მოყვანილი და განხილულია, როგორც ურთიერთ საპასუხო რეაქციათა ჯაჭვი, ასევე - არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბების მექანიზმი.

აგრეთვე, სხვადასხვა დიციპლინათა ანალიზის საფუძველზე შესწავლილია - როგორც არქიტექტურული სტილის გავრცელების მექანიზმი, ამასთანავე -

მასალათა ადაპტირებულობის განმსაზღვრელი ფაქტორები, გამოკვლეულია, თუ რა იწვევს მათ სელექციას და რა განაპირობებს მათი ინტენსიური გავრცელების ტემპს.

დისერტაცია განიხილავს ფრაქტალური არქიტექტურის მიდგომებს, არა როგორც თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების მიღწევას, არამედ, როგორც ვერნაკულარული არქიტექტურის სამეტყველო ენას. პარამეტრული და ფრაქტალური დიზაინის მიდგომების დიფერენცირების შედეგად მოყვანილია ისტორიული ფაქტები ფოტო დოკუმენტაციის სახით, რაც ნათლად წარმოაჩენს ზემოხსენებული განსჯის სისწორეს და გამოკვეთს ფრაქტალური, ვერნაკულარული და რეგიონალური არქიტექტურული მიდგომების ურთიერთდამოკიდებულებას.

აღნიშნული კავშირის ნათლად წარმოსაჩენად გამოყენებულია სამცხე-ჯავახეთის დარბაზული სახლის მაგალითი, რის შედეგადაც ჩამოყალიბებულია - ჰარმონიზაციის ვექტორების ცხრილი, რეგიონალიზმის დაზუსტებული სპეციფიკით, რაც მარტივად გვიჩვენებს, თუ როგორაა შესაძლებელი ამ, ერთი შეხედვით ურთიერთდაპირისპირებულ ვექტორთა გაერთიანება და შემოქმედებითი სულისკვეთებით ნასაზრდოები არქიტექტურის შექმნა.

ნაშრომში, დაავადებათა ისტორიული რუქის შექმნისა და არაერთი არქიტექტურული მაგალითის საფუძველზე, არქიტექტურის განვითარების ისტორია განხილულია, როგორც დაავადებასთან ბრძოლის მაგალითი, რის შედეგადაც ჩამოყალიბებულია ის პუნქტები, რომელშიაც ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდა.

დისერტაციაში წამოჭრილმა პრობლემებმა აუცილებელი გახადა კონკრეტული ეპოქალური არქიტექტორების შემოქმედებათა სრული ფენათაღნაგობის განხილვა და მათი სისტემური ცხრილების შედგენა, რის შედეგადაც მკაფიოდაა წარმოჩენილი, თუ რა როლი და მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტორს, როგორც პიროვნებას - არქიტექტურული შემოქმედების პროცესში, და როგორ ხდება არქიტექტორის, როგორც შემოქმედის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა. არტიკულირებულია, თუ რა მნიშვნელობისაა ქვეყნის კულტურულ-ტრადიციული სიძლიერე, როგორც ეპოქის მაფორმირებელი არქიტექტურის საშობად, ასევე გლობალიზაციის მოვლენისაგან წარმოშობილი გავლენების გასამკლავებლად.

შედეგად, განხილულია, როგორც მასალათა გადამეტებული გამოყენების გავლენები ქალაქის ქალაქგეგმარებით ქსოვილზე, და ზოგადად ადამიანზე, ამასთანავე ის, თუ რა იწვევს ავთენტური არქიტექტურული ენის სრულ ჩანაცვლებას - თანამედროვე არქიტექტურული ენით. აგრეთვე, განხილულია, თუ რა სისტემებით შედიან უცხოელი და ადგილობრივი არქიტექტორები ავთენტურ არქიტექტურულ სივრცეში.

სადოქტორო ნაშრომში, ზემოაღნიშნულ განსჯით ნაწილთან ერთად, ეტაპობრივად არის ჩამოყალიბებული სისტემური ანალიზის ცხრილები,

რომელნიც განსჯის განვითარებასთან ერთად მეტად დეტალურნი და სპეციფიკურნი ხდებიან, და გვიჩვენებენ, თუ რა იწვევს საკვლევ ვექტორებთა ურთიერთდაპირისპირებულობას.

აღნიშნული ცხრილების მრავალმხრივი, სპეციფიკური განვითარების შედეგად კი მივდივართ მთავარ - „რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ვექტორების ჰარმონიზაციის ცხრილამდე“, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს სამეცნიერო კვლევის შედეგად დადგენილ სრულ სურათს, კრავს მთელ ნაშრომს და დეტალურად განმარტავს არქიტექტურული შემოქმედების ჰარმონიისა თუ დისჰარმონიის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს, რაც საბოლოოდ - შემაჯამებელი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების რაციონალური საფუძველი გახდა.

The necessity to harmonize Regional and International Architectural linguistics, in the context of Globalization

Abstract

The essence of the research is directly related to the situation that exists around the world as a problem, which lies in the fact that the linguistics of modern architecture is clearly and directly conditioned, dependent, and defined by modern technological advances. This mechanical process is the main cause of the sensory impoverishment of architecture as a discipline, the pursuit of totalization of creative discourses, and the formation of unhealthy spaces.

The presented dissertation is a study that, based on the parallel and pervasive analysis of regional and international architectural vectors, systematizes these vectors in stages, investigates their interrelationships, clearly defines the causes of the conflict between them, Fixes the pulsation of the alternation of phases of architectural linguistics and demonstrates the necessity of continuity of architectural development, point by point forming the necessary components for the creation of an authentic architectural environment.

In the research, the problem-gaps of architectural approaches and results are articulated based on the empirical research of the works of Georgian and foreign field specialists, architectural theorists, philosophers, art historians, and critics.

These multidisciplinary studies, which are presented in a seemingly mutually exclusive way in the common scientific base, are chronologically connected in the dissertation and form a theoretical framework, which not only presents the problems of modernity but also raises important questions and defines specifics of the research.

In the dissertation, twentieth-century architectural styles are systematized and discussed as a chain of reciprocal reactions as a mechanism for the formation of an architectural style.

Also, based on the analysis of studies in different disciplines, the mechanism of dissemination of architectural style has been studied, as well as the factors determining the adaptability of materials, what has led to their selection and what has led to their intense spread.

The dissertation discusses approaches of fractal architecture, not as an achievement of modern technological capabilities, but as the language of vernacular architecture. Based on the differentiation of parametric and fractal design approaches, historical facts are presented in the form of photo documentation, which clearly demonstrates the correctness of the above consideration and highlights the interrelationships between fractal, vernacular and regional architectural approaches.

An example of the Samtskhe-Javakheti Hall House is used to illustrate this connection, resulting in the formation of a table of harmonization vectors with specified specifics of regionalism, which easily shows how it is possible to combine these seemingly contradictory vectors and create architecture in a creative spirit.

In the study, based on the creation of a historical map of diseases and numerous architectural examples, the history of the development of architecture is considered as an example of the fight against disease, resulting in the formation of those architectural points in which it became necessary to make changes.

The problems raised in the dissertation made it necessary to discuss the full range of works of specific epoch-making architects and compile their systematic tables, which clearly show the role and importance of the architect as a person in the process of architectural creation, As well as identifies with what specifics the architect manages to go on the international level. It articulates the importance of the cultural-traditional strength of the country, both for the birth of the architecture of the epoch, as well as for dealing with the influences arising from the phenomenon of globalization.

As a result, the effects of excessive use of architectural materials on the fabric of urban spaces, and on people in general, are discussed, as well as what causes the complete replacement of authentic architectural language with modern architectural language. In addition, it discusses what systems foreign and local architects include in the authentic architectural space.

In the doctoral dissertation, in addition to the above discussion and reasoning section, systematic analysis tables are gradually developed, which become more detailed and specific with the development of research and investigation, and show what causes the reciprocity of research vectors.

As a result of the development of the multifaceted specifics of these tables, we come to the main "Regional and International Architectural Vectors Harmonization Table", which perfectly presents the full picture of the scientific research, summarizes the whole study and explains in detail the reasons for the harmony or disharmony of architectural creativity. And became a rational basis for making recommendations.

შესავალი

არქიტექტურა, როგორც ბუნებრივ, სრულ სივრცეში მოწყობილი ხელოვნური, მცირე მასშტაბის, თუმცა ანალოგიური სისრულის ხარისხის მქონე სივრცეების მაფორმირებელი ობიექტების სისტემა, რომელიც ოდითგანვე ემსახურებოდა ადამიანის სიცოცხლის დაცვას და ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას, ასევე წარმოადგენს კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობისა და სოციალური შინაარსის მაგენერირებელ ფაქტორს.

არქიტექტურული გარემო თავის თავში მოიცავს წინა თაობების ეროვნულ, ემოციურად და ინფორმაციულად მნიშვნელოვან გამოცდილებას, რაც იმპლიციტური[1] და მუდმივი ზეგავლენით აყალიბებს და ანვითარებს ადამიანის ცნობიერებას, მსოფლმხედველობასა და მისდამი დემოკიდებულებას, რაც ადამიანის, როგორც ინდივიდის - რაციონალური განვითარების ობიექტურ წინაპირობას წარმოადგენს.

ისტორიის მანძილზე, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა მრავალი სახის საზოგადოებრივი სოციალური სტრუქტურა. თითოეული მათგანი კი წარმოდგენილი იყო ავტონომიური - კულტურული და არქიტექტურულ-სივრცითი სიმბოლოთა სისტემით, ან სისტემათა ჯგუფით, იქნებოდა ეს სატაძრო, საერო, ტიპიურ-ეროვნული თუ ლანდშაფტური ხუროთმოძღვრების სახეები, რომელნიც ქმნიდნენ და შეძლებისდაგვარად ავრცელებდნენ კიდეც - ემოციურ, სოციალურ, ისტორიულ და იდეოლოგიურ ქვეტექსტებს - სიმბოლოების სახით.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს საზოგადოებრივი სოციალური სტრუქტურები ერთმანეთთან მუდმივად აწარმოებდნენ ურთიერთობებს შიდა წარმოებული პროდუქტის ურთიერთ-გაცვლის სახით. ტრანსპორტისა

[1] მეხსიერების ფორმა, რომელიც ვლინდება დასწავლის შედეგად დავალების შესრულების გამარტივებით დასწავლის ცნობიერი გახსნებებისა და/ან დასწავლილი მასალის განზრახ გამოყენების გარეშე.

და ზოგადად ტექნოლოგიების განვითარებამ - სარკინიგზო კავშირების, ორთქლზე მომუშავე გემებისა და ტელეგრაფის საშუალებით, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, კაცობრიობა გლობალურ ინტეგრაციამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ პირველად ტერმინი „გლობალიზაცია“ ამერიკელი მკვლევარის ტ.ლევიტის მიერ - „**Harward Business Review**“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში - 1983 წელს გამოჩნდა, მეცხრამეტე საუკუნის სავაჭრო კავშირების დინამიკური პროცესი გლობალიზაციის[2] პირველ ტალღად იწოდება[1].

გლობალიზაციის პირველი ტალღის შეჩერება პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია, რასაც შემდგომ ომისშემდგომი პროტექციონიზმი[3] მოჰყვა, ხოლო საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომით დაგვირგვინდა. მოგვიანებით, 1940-იან წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ქვეყანებს შორის გაფორმებულ იქნა შეთანხმება - საერთაშორისო ვაჭრობის აღორძინებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რაც გლობალიზაციის მეორე ტალღის სახელითაა ცნობილი, და რომელიც დღემდე უწყვეტად გრძელდება.

როგორც ამბობენ, გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ობიექტური ფაქტორია. შესაბამისად, როგორც ყველა ეპოქალურ მოვლენას, მასაც ახლავს პოზიტიური და ნეგატიური მახასიათებლები. გლობალიზაცია, როგორც მოვლენა რეალობაა და მისი გავლენა არქიტექტურასთან მიმართებაშიც სავსებით ცხადია[2].

ქართული სახელმწიფოებრიობა-კულტურა - ათასწლეულებს ითვლის. ისტორიული საქართველოს გეოგრაფიული სივრცე ნიშანდებულია

---

[1] (ფრანგ. global — „საერთო, საყოველთაო“) — თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობა. მასში გულისხმობენ ერთიანი, საერთო მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და, ამდენად, გაერთიანება-შერწყმის სინონიმადაც მოიაზრება. მსოფლიოს ქვეყნების, რეგიონების, ხალხების საყოველთაო ინტეგრაცია გლობალიზაციის არსებითი ნიშანია.

[3] შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს. პროტექციონიზმის მთავარი ამოცანა სამამულო წარმოების განვითარებაა. პროტექციონიზმს შეიძლება მიმართავდეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთად.

კაცობრიობის განვითარების უკლებლივ ყველა ეტაპის აღმნიშვნელი კულტურული ძეგლების სიმრავლით. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ე.წ სიმცირისა, საქართველოში არის ყველა ბუნებრივ-კლიმატური ზონა, ტროპიკების გამოკლებით, რაც აღინიშნება არქიტექტურულ-სტრუქტურული განუმეორებელი უნიკალურობით.

ეროვნული კულტურის ფორმირებისა და ხორცშესხმისას საქართველო, ისე, როგორც სხვა ერები, მეზობელი განვითარებული ქვეყნების კულტურასაც იაზრებდა და იყენებდა, თუმცა მას პირდაპირ და უშუალოდ არასდროს ნერგავდა. ამ კულტურული მარცვლის, გააზრება და რეფორმირება, მისი იდეალებისათვის მისადაგება და უკვე გადამუშავებული სახით გავრცელება-დანერგვა ხდებოდა, ანუ ადგილი ჰქონდა, არა კულტურულ ქურდობასა და სტილისტიკურ გადამღერებას, არამედ სხვისი გამოცდილების გააზრება-გაცნობიერებას და შემდეგ საკუთარი „პროდუქტის“ შექმნას - კულტურულ-ტრადიციული განვითარებისათვის ხელშესაწყობად.

ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარების მაღალმა ტემპმა, თანამედროვე ქალაქებში ექსტრემალური ურბანიზმის პროცესი გააქტიურა, რამაც - არქიტექტურული ფორმათწარმომქმნელი პრინციპებისა და ურბანული დაგეგმარების მხატვრული დონის ნიველირება[4] გამოიწვია. შედეგად, „არქიტექტურული თავისუფლების“ ნიღბით შემოსილი ეს პროცესი, არქიტექტურული გარემოს რეგიონალური უნიკალურობის რღვევის პირდაპირი გამომწვევი მიზეზი გახდა.

არქიტექტურული ნების თავისუფლების მრავალგვარი გაგება არსებობს. არქიტექტურული შემოქმედებით გამოხატული ეს - ნების გამოვლინებანი, ყველა სხვა მოვლენის მსგავსად, მკაფიოდ განსაზღვრული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის გავლენით ყალიბდებიან. როგორი სიღრმითაც არ უნდა იმალებოდნენ ამ გამოვლინებათა წარმომქმნელი მიზეზები,

[4] გადატ. განსხვავების მოსპობა; გათანაბრება.

არქიტექტურული შემოქმედების ნიმუშები, რომელნიც პირდაპირ თუ ირიბად მათი გეგმარებით სტრუქტურაში, და ფორმაში გამოხატვით არიან დაკავებულნი, მაინც გვიტოვებს იმედს, რომ, თუ არქიტექტორი, როგორც პიროვნება-შემოქმედი ამ დისციპლინური ნების შესაძლებლობებსა და საფრთხეებს ფართოდ და ობიექტურად განიხილავს, მისი წესზომიერი განვითარების გზის მიკვლევასაც შესძლებს. სწორედ ამ წესზომიერი განვითარების გზის თეორიული ფარგლების მოსაზღვრა წარმოადგენს - დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერულ სიახლეს.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტორი, რაც მთელს მსოფლიოში დგას პრობლემის სახით. კერძოდ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული თანამედროვე არქიტექტურის ლინგვისტიკის, ანუ მისი გამომსახველობითი ენის შეთანხმება-შეუთანხმებლობის საკითხი - ავთენტურ არქიტექტურულ გარემოსთან.

დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე

პირველად ქართულ სივრცეში, სრული გლობალიზაციის პირობებში - ეროვნულ-რეგიონალური და საერთაშორისო ვექტორების პარალელური და გამჭოლი ანალიზის საფუძველზე - არქიტექტურული ლინგვისტიკის ეტაპებად-სისტემატიზაციაში მოყვანა, შედარება და მასში კონფლიქტური მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მიკვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია

1) თემასთან ნაწილობრივ ან სრულად დაკავშირებული საკითხების, ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარეთ არსებული ლიტერატურული წყაროების, სამეცნიერო კვლევების, სადისერტაციო ნაშრომების დეტალური შესწავლა და მათი ანალიზი.

2) შესწავლილი მასალის ქრონოლოგიური დახარისხება და ეპოქალური ანალიზი(სისტემურლი, პარალელური, გამჭოლი და გრაფიკული ანალიზი).

3) დარგობრივი თვისებრივი კვლევის მეთოდი - ეპოქალური არქიტექტორების შემოქმედების ქრონოლოგიური სქემების ჩამოყალიბება - ისტორიული მოვლენების, ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ეპოქის ჭრილში.

4) სოციოლოგიური რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ინტეგრირება არქიტექტურული დიზაინის დისციპლინაში.

5) სისტემური ანალიზის ცხრილები: 1) კრიტიკული რეგიონალიზმის[5] ცხრილი შესწავლილი თეორიების მიხედვით. 2) ჰარმონიზაციის ვექტორების ცხრილი რეგიონალიზმის[6] დაზუსტებული სპეციფიკით. 3) რეგიონალურ და კოსმოპოლიტურ[7] მიდგომებს შორის წარმოშობილი დისონანსის[8] განმაპირობებელი ფაქტორების ცხრილი. 4) რეგიონალური და კოსმოპოლიტური მიდგომების შედეგების ცხრილი. 5) რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ვექტორების ჰარმონიზაციის ცხრილი

---

[5] მიდგომა არქიტექტურაში, რომლის მიზანი უადგილობისა და მნიშვნელობის არქონის პრობლემის გადაჭრაა მოდერნისტულ არქიტექტურაში კონტექსტუალური ძალების გამოყენებით, რაც ადგილის შეგრძნებასა და მნიშვნელობის შეძენის საშუალებას იძლევა. ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს ალექსანდერ ძონისმა და ლიენ ლეფევრმა, ხოლო მოგვიანებით პოპულარული გახადა კენეტ ფრამპტონმა.

[6] შეხედულებებისა და იდეების კომპლექსი, რომელიც მოსახლეობას შიდა სახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო დონეზე არსებული რეგიონის მიმართ აქვს. რეგიონები, ძირითადად, გეოგრაფიული სიახლოვისა და სოციალური ერთგვაროობის პრინციპებით განისაზღვრება. სახელმწიფოთა შიგნით რეგიონალიზმის იდეა ხშირად ეთნიკურ სეპარატიზმსა და რეგიონის დამოუკიდებლობის ან მეტი ავტონომიის მოთხოვნებს უკავშირდება.

[7] მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა აყენებს. კოსმოპოლიტიზმი სხვადასხვა ეპოქაში სტიქიურად თუ მიზანდასახულად ყალიბდებოდა ამა თუ იმ (ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელის ან რომის) იმპერიის იდეოლოგიად.

[8] კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეხამება; ისეთი რამ, რაც არ ეწყობა, არ ეგუება რამე ერთიანს, შეხმატკბილებულს; შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები:

ნაშრომში არტიკულირებული პრობლემის მულტიდისციპლინური შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნებისა და მათზე დამყარებული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა, რომელიც კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოაჩენს.

1) არქიტექტურული შემოქმედების სულიერი დეკადანსის[9] გამომწვევი ფაქტორების მკაფიო არტიკულირება.

2) გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური გავლენების სქემატური ანალიზი.

3) არქიტექტურული განვითარების უწყვეტობის აუცილებლობის წარმოჩენა ეროვნული არქიტექტურის ჭრილში.

4) სწორი-ჯანსაღი არქიტექტურის კომპონენტების ექსპლიციტური[10], ანუ აშკარა განმარტებანი.

5) კულტურული განსხვავებულობა არქიტექტურაში, როგორც ღირებულებათა ნიშნობრივი ურთიერთდაპირისპირებულობა.

6) რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული დიალექტიკის სხვაობისა და თანაკვეთის სქემატური წარმოჩენა.

7) არქიტექტურული ლინგვისტიკის ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლის პულსაციის დაფიქსირება, რომელსაც თან სდევს მახასიათებლების გადანაცვლებაც მიმეტურიდან[11] არამიმეტურზე.

კვლევის შედეგების აპრობაცია:

[9] კულტურის დაქვეითება, დაცემა.
[10] აშკარად, განსაზღვრულად, არაორაზროვნად გამოხატული.
[11] თეორია, რომელიც ამბობს რომ ენა უბრალოდ ახდენს ჭეშმარიტების იმიტაციას, რომელიც არსებობს ფიქსირებული სახით გარე სამყაროში, ეწოდება მიმეტური.

სადისერტაციო ნაშრომის სათაურია **„გლობალიზაციის პირობებში, რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ენის ჰარმონიზაციის აუცილებლობა“.**

სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების სია:

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი **„არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; მელქაძე მ. ბეჟუაშვილი მ. -** პიროვნება, ტექნოლოგიები, ეპოქა… (2021)
ISSN 2233-3266. № 14,15. 98-103 გვ.

2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი **„არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; მელქაძე მ. ბეჟუაშვილი მ. -** პანდემია და არქიტექტურა (2021)
ISSN 2233-3266. № 16. 89-94 გვ.

3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ჟურნალი **„მშენებლობა“ - მელქაძე მ. ბეჟუაშვილი მ.** - მინის მასალის გადამეტებული გამოყენების გავლენა - თბილისის არქიტექტურულ რეალობაზე (2022).
ISSN 1512-3936. № 1(61). 117-122 გვ.

სამეცნიერო კონფერენციების მასალები:

1) **მელქაძე მ; ბეჟუაშვილი მ. – „ბიოკლიმატური პირობების ზეგავლენა ბრაზილიურ არქიტექტურაზე“** - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია (2020 წლის 21 დეკემბერი)

2) **მელქაძე მ; ბეჟუაშვილი მ. – “პოსტ-პანდემიური არქიტექტურა“** - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია (2021 წლის 15 ივლისი)

3) **მელქაძე მ; ბეჟუაშვილი მ. – „თბილისის დღევანდელი რეალობის არქიტექტურული სისტემების შეფასების კრიტერიუმები“** - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია (2021 წლის 27 დეკემბერი)

კოლოქვიუმები და სემინარები:

კოლოქვიუმი 1 – პიროვნების ჩაწერა გლობალიზაციის სივრცეში, არქიტექტურული მეს დაკარგვის სახით.

კოლოქვიუმი 2 – რეგიონალური არქიტექტურა სამცხე-ჯავახეთის დარბაზული სახლის მაგალითზე.

კოლოქვიუმი 3 – რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ლინგვისტიკის ჰარმონიზაციის პრობლემები.

თემატური სემინარი 1 – გლობალიზაცია არქიტექტურულ სივრცეში..

თემატური სემინარი 2 – პოსტ-პანდემიური არქიტექტურა

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი არის 140 გვერდიანი, მასში არის 60 ფოტო, 14 ცხრილი. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება რეზიუმეს, შესავლის, 3 თავის - ლიტერატურული მიმოხილვის, განსჯისა და დასკვნებისგან, ილუსტრაციებისა და ცხრილების ჩამონათვალისგან.

შესავალში განვიხილეთ საკვლევი თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, მიზანი, საკვლევი პრობლემატიკა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შედეგების აპრობაცია, მეთოდოლოგია და არტიკულირებულია კვლევის ძირითადი საკითხები. შესავალში ნათლადაა ნაჩვენები თემის არსი, რომელიც თავდაპირველად ფართო ჭრილშია წარმოდგენილი, რის შემდეგაც, განვითარებასთან ერთად, საკვლევი სპექტრის დავიწროვებას და დაკონკრეტებას ვახდენთ.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია: თანამედროვე არქიტექტურული მიდგომების პრობლემა, სადაც ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომებზე დაყრდნობით არტიკულირებულია როგორც კვლევის მიზანი და თეორიული ჩარჩო, ასევე პრობლემა, რომელიც მთელს მსოფლიოში დგას. ჩამოყალიბებულია კვლევის საფუძველი, რის საფუძველზეც, ეტაპობრივადაა განხილული თემასთან ნაწილობრივ, ან სრულად დაკავშირებული წინარე კვლევები.

აღნიშნულ თავში ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად წარმოშობილი კითხვები, რომლებიც მთლიანად თემისა და ნაშრომის ცენტრს წარმოადგენენ, და რომელნიც მკაფიოდ არიან დაკავშირებულნი ზემოხსენებულ მიზანთან. აღნიშნული კითხვებით მოხდა განსაზღვრა იმ პუნქტებისა, რომელნიც კვლევის მიერ არტიკულირებული პრობლემის წარმომქმნელ მიზეზებს განასახიერებენ, რის შემდეგაც, ეტაპობრივად განხილულია ამ პუნქტებთან დაკავშირებული წინარე სამეცნიერო-ტექსტური კვლევები.

შესწავლილი საკითხის აქტუალობის წარმოსაჩენად განხილულია - არქიტექტურული ლინგვისტიკის იდენტობა - რეგიონალიზმის ჭრილში, სადაც წარმოდგენილია რეგიონალიზმის სამი ძირითადი თეორეტიკოსის - კენეტ ფრამპტონის, ალექსანდრე ძონისისა და ლიან ლაფაივერის, ასევე ალან კოლჰუუნისა და გოტფრიდ სემპერის ნაშრომები და თეორიები, რომელნიც შემდგომ დაკავშირებულია ჩვენს მიერ წარმოებულ მეცნიერულ კვლევასთან, კერძოდ: კვლევის მიერ დასმულ კითხვებთან, ლიტერატურულ მიმოხილვაში გამომჟღავნებულ პუნქტებთან, მეთოდოლოგიასთან და კვლევის შედეგად მოძიებულ მიგნებებთან.

განხილული თეორიების ყოვლისმომცველად გასაგებად ჩამოყალიბებულია ცხრილები, რომელნიც, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, ქმნიან კონცეპტუალურ ჩარჩოს, და აჩვენებენ, თუ როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული ცვლადები და არსებული თეორიები.

აღნიშნულ თავში საუბარია არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბების მექანიზმზე, სადაც ეტაპებად-სისტემატიზაციაში მოყვანილი გვაქვს მეოცე საუკუნის არქიტექტურული სტილები, რომელთაც განვიხილავთ განსხვავებული სპეციფიკით, კერძოდ, როგორც საპასუხო რეაქციათა ჯაჭვს.

თანამედროვე მულტიდისციპლინური კვლევების ანალიზის შედეგად განხილულია არქიტექტურული სტილის გავრცელების მექანიზმი და მასალათა ადაპტირებულობის განმსაზღვრელი ფაქტორები - ექსტრემალური ურბანიზმის ფარგლებში, სადაც პუნქტებადაა ჩამოყალიბებული, როგორც არქიტექტურული სტილის სწრაფი და ინტენსიური გავრცელების მიზეზები, ასევე მასალათა სელექციისა და ადაპტირებულობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ემპირიული, სამეცნიერო ტექსტური მიმოხილვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირველი თავის მიზანს წარმოადგენდა - არათუ ლიტერატურული მასალის პირდაპირი გამეორება, არამედ, აკადემიური ცოდნის ბაზაში არსებული ნაშრომებისა და კვლევების კრიტიკული ანალიზი და შემდეგ, მასზე დაყრდნობით - ყურადღების მიღმა დარჩენილი, უკვლევი, ან მანამდე შეუკავშირებელი კომპონენტების მიკვლევა და ნათლად წარმოჩენა. შესაბამისად, თავში ქრონოლოგირად, სადოქტორო თემის პრობლემის ცენტრთან ნაწილობრივ ან სრულად დაკავშირებული მასალის ფენათაღნაგობაა შექმნილი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჩვენს მიერ შესრულებული კვლევის როლს და მნიშვნელობას - საერთო სამეცნიერო ცოდნის წიაღში.

პირველი თავის დასკვნა

1) **მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ტენდენციას წარმოადგენდა პიროვნება-შემოქმედი, რომელიც კონკრეტული ქვეყნის სიტუაციიდან გამომდინარე განაპირობებდა - სოციალურ, ეკონომიკურ და შესაბამისად შემოქმედებითი განვითარების ტენდენციებს.**

2) **მხოლოდ ინტეგრირებული სამშენებლო ტექნოლოგიებითა და მარტივად გამოყენებადი მასალით განპირობებული არქიტექტურა ხშირად კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობის გამანადგურებლად და სრულად ჩამნაცვლებლად ფორმირდება.**

3) **ყოველი კონკრეტული სოციალური მოვლენა იწვევს ჯაჭვურ რეაქციას - არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბების სახით.**

4) **ტენდენციური ცვლილებები, როგორც განსაზღვრული იმპულსის მქონე საპასუხო რეაქცია, მხოლოდ ლოკალურად ჭრის საკითხს. შესაბამისად, ქმნის რა სხვა სახის პრობლემას, თავისთავად, ინერციით აყალიბებს განსხვავებულ საპასუხო რეაქციას, ეს პროცესი კი კონფლიქტურ მოცემულობათა დაუსრულებელი წრის შემქმნელია.**

დისერტაციის მეორე თავში განხილულია: ფრაქტალური დიზაინი, როგორც ვერნაკულარული არქიტექტურის სამეტყველო ენა. გამოყოფილია განმასხვავებელი ნიშნები ფრაქტალურ დიზაინსა და პარამეტრიციზმს შორის, რის შედეგადაც - ძველი აფრიკის დასახლებათა სტრუქტურების მაგალითზე ნაჩვენები გვაქვს, რომ აღნიშნული წარმოადგენს არა თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევას, არამედ ბუნების საყოველთაო კანონების გაცნობიერებას.

ზემოთქმულ განსჯით ნაწილზე დაყრდნობით, მეორე თავში განხილულია - რეგიონალური არქიტექტურა სამცხე-ჯავახეთის დარბაზული სახლის მაგალითზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბებული გვაქვს - ჰარმონიზაციის ვექტორების ცხრილი - რეგიონალიზმის დაზუსტებული სპეციფიკით. აღნიშნულ ცხრილში ნათლადაა ნაჩვენები ამ ორ, ერთი შეხედვით ურთიერთდაპირისპირებულ ვექტორთა გამაერთიანებელი კომპონენტი, რომელიც გარემოსა და კულტურის ახლებური არტიკულირების საფუძველზე მათ შორის ჰარმონიულ ურთიერთკავშირს წარმოქმნის და აყალიბებს შემოქმედებითი სულისკვეთებით ნასაზრდოებ არქიტექტურას.

მეორე თავი ასევე განიხილავს - არქიტექტურის განვითარების ისტორიას, როგორც დაავადებასთან ბრძოლის მაგალითს, სადაც პანდემიათა ისტორიული რუქის შექმნის საფუძველზე ნაჩვენები გვაქვს, როგორც პანდემიათა როლი არქიტექტურის ავთენტურ რელსებზე დაბრუნებისათვის, ასევე განხილული გვაქვს არქიტექტურა, როგორც ადამიანის გადარჩენის გენოკოდის მატარებელი. განსჯილი ისტორიული და საპროექტო მაგალითების საფუძველზე განსაზღვრული გვაქვს პუნქტები, რომელნიც არქიტექტურულ დისციპლინაში აუცილებლად განიცდიან ტრანსფორმაციას.

აღნიშნულ თავში განხილულია - პიროვნების როლი არქიტექტურული ქმნადობის პროცესში, სადაც, ოსკარ ნიმეიერის არქიტექტურული შემოქმედება - პიროვნების, ეპოქისა და ტექნოლოგიების ჭრილშია განხილული და ნათლადაა ხაზგასმული, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პიროვნული ცენტრის შემთხვევაში - შესაძლებელია ტექნოლოგიური განვითარებისა და რეგიონალური საწყისების ურთიერთ-შეთანხმების მიღწევა.

შედეგად, განსჯილია, თუ როგორ ხდება პიროვნების ჩაწერა გლობალიზაციის სივრცეში, და მოიაზრებს თუ არა ეს პროცესი არქიტექტურული „მე“-ს დაკარგვას. დასმულია კითხვები: „რეგიონალური არქიტექტურის ჭრილში, შესაძლოა თუ არა მოეძებნოს კოსმოპოლიტურ არქიტექტურას რაიმე ადგილი? და პირუკუ, კოსმოპოლიტური არქიტექტურის ჭრილში, შესაძლებელია თუ არა - რეგიონალური არქიტექტურის ადგილის მოძებნა?“

აღნიშნული კითხვების საპასუხოდ, განხილული გვაქვს ზაჰა ჰადიდის არქიტექტურული შემოქმედება, რომელიც ასევე ეტაპებად-სისტემატიზაციის ცხრილში გვაქვს მოქცეული, რის შედეგადაც, მის არქიტექტურას განვიხილავთ არა როგორც უბრალოდ ფორმათწარმომქმნელ

სისტემას, არამედ არქიტექტორის, როგორც პიროვნების თვითწარმოქმნისა და თვითსრულყოფის მაგალითს.

თავში ასევე განხილულია - ქვეყანაში არსებული კულტურულ-ტრადიციული სიძლიერისა და ცხოვრების სტილის სპეციფიკის გავლენა, არქიტექტურაში - დისონანსის ან კონსონანსის შექმნაზე. აღნიშნული თემატიკა განხილული გვაქვს იაპონიისა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების მაგალითებზე. ამ უკანასკნელთან მიმართებაში კი ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება არქიტექტურული სტილი არათუ უბრალოდ ინტეგრირდეს, არამედ სრულად ჩამნაცვლებელი გახდეს - რეგიონის ავთენტური არქიტექტურული ენისა, რის დასამტკიცებლადაც გამოყენებული გვაქვს - აჟმანის უნივერსიტეტის მკლევარების - ჯიჰად ავადისა და ბოუზიდ ბოუდიაფის 2020 წლის ნაშრომი - „ისლამური მემკვიდრეობის არქიტექტურა და ხელოვნება“.

აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, თავში წარმოდგენილია - „რეგიონალურ და კოსმოპოლიტურ მიდგომებს შორის წარმოშობილი დისონანსის განმაპირობებელი ფაქტორების ცხრილი“ და „რეგიონალური და კოსმოპოლიტური მიდგომების შედეგების ცხრილი“.

მეორე თავი ასევე განიხილავს თბილისის დღევანდელი რეალობის არქიტექტურული სისტემების შეფასების კრიტერიუმებს, სადაც განხილულია, თუ რა სისტემებით შედის ავთენტურ გარემოში უცხოელი არქიტექტორი, ასევე, თბილისში არსებული სითი-მოლის პროექტზე დაყრდნობით ნაჩვენებია, თუ როგორ ვიქცევით თავად, ამავე ქვეყნის არქიტექტურული აზროვნების სისტემის მქონენი დღეს.

განხილული ლიტერატურული წყაროების, სამეცნიერო კვლევების, სადისერტაციო ნაშრომებსა და თეორიებზე დაყრდნობით შექმნილი გვაქვს - შემაჯამებელი, **„რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ვექტორების ჰარმონიზაციის ცხრილი“**, რომელიც ნათლად და სრულყოფილად წარმოაჩენს სამეცნიერო ემპირიული კვლევისა და განსჯის

შედეგად დადგენილ სრულ სურათს, და სრულყოფილად აღწერს - არქიტექტურაში დისონანსისა თუ კონსონანსის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების სრულ ფენათაღნაგობას.

მეორე თავის დასკვნა

1) **უნდა აღმოიფხვრას მასალის გადამეტებული გამოყენება, თუ იგი უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანზე და მის ჯანმრთელობაზე.**
2) **შენობის მიერ წარმოქმნილი ნახშირბადის გამოყოფის ჯამური მაჩვენებელი მეტად უნდა დაუახლოვდეს, და საუკეთესო შემთხვევაში უნდა გაუტოლდეს მის ტერიტორიაზევე არსებული გამწვანების მიერ წარმოქმნილი ჟანგბადის მაჩვენებელს.**
3) **არქიტექტურული ფორმათწარმომქმნელი პრინციპების ტრანსმუტაციის სისტემა განპირობებულია იდეოლოგიური მოტივაციით, რომელიც ყოველ ეპოქას თან გასდევს.**
4) **ქვეყნის კულტურულ-ტრადიციული სიძლიერე პირდაპირი განმაპირობებელი ფაქტორია იმისა, თუ რა ტიპის გავლენას მოახდენს მის არქიტექტურაზე თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობები - დადებითს, თუ უარყოფითს.**
5) **ისტორიასთან ჰარმონიული დიალოგის არარსებობა პირდაპირ იწვევს ქვეყნის ავთენტური არქიტექტურული ლინგვისტიკის**

დისერტაციის მესამე თავში დაფიქსირებულია: გაანალიზებული, განსჯილი და ჩამოყალიბებული მიგნებები - დასკვნების სახით და წარმოდგენილია რეკომენდაციები.

დისერტაციაში კვლევის და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა შემაჯამებელი დასკვნების სახით:

1) **ინტენსიური ურბანიზაციისა და ქაოტური ურბანული განაშენიანების პირობებში, არქიტექტურული ფორმათწარმომქმნელი პრინციპებისა და**

ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებათა მხატვრული დონის ნიველირების უარყოფით შედეგს წარმოადგენს - ურბანული გარემოსა და ავთენტური არქიტექტურული გარემოს რღვევა.

2) არქიტექტურული ობიექტების ღირებულების შექმნისას, კულტურული სიმბოლიზმი, როგორც ისტორიული შინაარსის არატექსტუალური ექსტრაპოლირების[12] საშუალება, კულტუროლოგიური სივრცეების წარმოშობიდან - დღემდე, უდავოდ აქტუალურია.

3) არქიტექტურული გარემოს ესთეტიკური და მხატვრული დონის ამაღლების საკითხები, პირდაპირ უკავშირდება სოციალური შინაარსის კულტუროლოგიურ ტრადიციას, მის ისტორიულ მეხსიერებასა და მათ ჰარმონიულ თანაარსებობას.

4) კვლევიდან გამომდინარე, არქიტექტურული რეგულაციები არ უნდა იყოს მიბმული მხოლოდ ტექნიკურ ინდიკატორებზე, რადგან უმეტესწილად, ისინი არ შეესაბამებიან გარემოს და შესაბამისად ქალაქის მომავალ ავთენტურ განვითარებასაც შეაფერხებენ.

5) რეგიონალური და საერთაშორისო არქიტექტურული ვექტორების ჰარმონიზაცია არქიტექტორებისათვის უნდა გახდეს მეთოდი, რომელიც მომავალში ქალაქის მხატვრული და ესთეტიკური სახის ჩამოყალიბებას გახდის შესაძლებელს.

6) ავთენტური არქიტექტურის ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია კონკრეტული რეგიონის - ჰავისა და ოროგრაფიის, კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობის, ისტორიის, სოციალური ასპექტებისა და ღირებულებათა სისტემების სპეციფიკურ და სიღრმისეულ გააზრებაზე,

[12] უცნობი ფაქტების შესახებ დასკვნის გაკეთება ნაცნობ ფაქტებზე დაყრდნობით.(ლათ. extra — გარეშე და polatio — განახლება, შეცვლა) მათემატიკაში არის ახალი მონაცემების მიღება არსებულ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად. ექსტრაპოლაციის მეთოდი ასევე ფართოდ გამოიყენება სტატისტიკაში და დარგებში, სადაც დაგეგმვა არის საჭირო. მეთოდი გულისხმობს არსებულ მონაცემებიდან გამომდინარე, ტენდეციის აღმოჩენას, და მის გაგრძელებას მომავალში.

რადგანაც, არქიტექტურა სამეცნიერო კვლევების ზედნაშენს წარმოადგენს და შედეგად მასზე რექციას.

7) თანამედროვე არქიტექტურული ლინგვისტიკა აუცილებლად უნდა იყოს ჰარმონიზაციაში ისტორიულთან, ისე, რომ არ კარგავდეს თანამედროვეობის მუხტს და იმავდროულად, გონივრულ კონტექსტში იხილავდეს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო გამოცდილებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

თანამედროვე და ავთენტური, ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემოს ჰარმონიზაციის მეთოდოლოგია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე:

1) ქვეყნის სეისმური ხასიათიდან გამომდინარე, საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პლანარული ან „ანდერგრაუნდული“ ხასიათის სივრცულ - არქიტექტურულ კომპოზიციებს;

2) თანამედროვე, ავთენტური არქიტექტურის პრინციპების რეანიმაციის ეპოქის დაბრუნების კონტექსტში, რეკომენდირებულია არქიტექტურული ლანდშაფტის ენის დაფუძნების ტენდენციის განვითარება;

3) მდგრადი არქიტექტურის ყველა ტენდენციისა და ტექნოლოგიების გამოყენება ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას, მაგ: ჭკვიანი მინა, მწვანე გადახურვა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://hbr.org/1983/05/the-globalization-of-markets, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

2. ასათიანი ა. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2016, pp 78-89.

3. Venturi R. Complexity and contradiction in architecture. New York: Museum of modern art in association with the Graham Foundation for Advanced Studies in the Fine arts, Chicago. 1966, pp-16.

4.https://gtu.ge/Arch/Poetics/manifesto.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.05.2022.

5. Belting H. Das Ende der Kunstgeschichte?. Berlin: Deutscher kunstverlag, 1991, 92 p.

6. Martin J. Downcast Eyes -- The Denigration of Vision in Twentieth-Century French Thought. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 1994, 648 p.

Levin D.M. Modernity and the Hegemony of Vision. Los Angeles, London: University of California Press, 1993, 440 p.

7. Pallasmaa J, Hapticity and Time - Notes on fragile architecture. Helsinki: Helsinki University Press, 2000, 12 p.

8. Vattimo G., Rovatti P.A. Volume of essays entitled IL pensiero debole. Baltimore: John Hopkins University Press, 1991, 31 p.

9. Bachelard G. 'Introduction', Water and Dreams: An Essay On the Imagination of matter (1942). Texas: Dallas Institute, 1983, 213 p.

10. Wilson C.S. The Other Tradition of Modern Architecture. London: Academy Editions, 1995, 192 p.

11. Pallasmaa J. The Thinking Hand, Existential and Embodied Wisdom in Architecture. Helsinki: Helsinki University Press, 2009, pp 132-133.

12. Oliver S. Alvar Aalto through the Words of Pallasmaa. Bristol: Bristol University Press 2009, p 12.

13. Colquhoun A. Criticism and self-criticism in German Modernism. London: Architectural Association School of Architecture, 1994, pp-26-33.

14.https://modernindenver.com/wp-content/uploads/2015/08/Frampton.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

15. Frampton K. Towards a Critical Regionalism - Six Points for an Architecture of Resistance. Zurich, Creative Industries Fund NL, 1983, 33 p.

16. https://www.britannica.com/biography/Lina-Bo-Bardi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

17.https://www.architectural-review.com/archive/the-brazilian-style, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

18. https://events.ihbc.org.uk/?p=7887, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

19. Jahnkassim P.S. The 'curves of nature' – the organic inflections of modern regionalism and ecological architecture in an urbanizing context. United Kingdom: School of Architecture and Design, Faculty of Arts and Architecture, University of Brighton WIT Press, 2002, 10 p.

20. Curtis W.J.R. Towards an Authentic Regionalism. Singapore: Concept Media LTD., 1986, 8 p.

21.https://en.wikiarquitectura.com/building/sesc-pompeia-factory/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

22.https://g-pulse.com/20th-century-architecture, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

23.https://www.thoughtco.com/modernism-picture-dictionary-4065245#:~:text=The%20photos%20presented%20here%20illustrate,Organic%2C%20Postmodernism%2C%20and%20Parametricism, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

24.https://www.designingbuildings.co.uk/wiki/Expressionist_architecture, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

25.https://www.britannica.com/art/Functionalism-architecture, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

26.https://www.masterclass.com/articles/bauhaus-architecture-explained#what-are-the-characteristics-of-bauhaus-architecture, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 28.05.2022

27.https://www.theartstory.org/movement/international-style/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.05.2022

28.https://www.living-architecture.info/organic-architecture, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2022

29.https://www.dezeen.com/2022/05/03/deconstructivist-architecture-introduction/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

30. https://www.e-ir.info/2022/02/24/devouring-brazilian-modernism-the-rise-of-contemporary-indigenous-art/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

31.https://economics.rabobank.com/publications/2014/january/brazils-macro-economy-past-and-present/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

32.https://www.macrotrends.net/countries/BRA/brazil/population-growth-rate, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

33. https://www.jstor.org/stable/29779331, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

34.https://www.britannica.com/place/Sao-Paulo-Brazil, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

35.https://www.apartmenttherapy.com/le-corbusier-modernist-visiona-97845, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

36.https://ats.emory.edu/_includes/documents/ARTHIST_InDesign%20Final%20Paper_example%203.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.06.2022

37.https://www.britannica.com/place/Brasilia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.06.2022

38. https://www.getty.edu/conservation/publications_resources/newsletters/28_1/brasilia.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.05.2022.

39.https://www.youtube.com/watch?v=pKsJje8L7yU&t=602s, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2022.

40.https://www.researchgate.net/publication/326305093_Fractal_Dimension_in_Architecture_An_Exploration_of_Spatial_Dimension, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.05.2022.

41. Mathews T. Giacometti A. The Art of Relation. New York: I.B.Tauris & Co Ltd, 2014, 309 p.

42.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.2022.

43.http://saunje.ge/index.php?id=1176&lang=en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.2022.

44.http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%

83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.06.2022

45. ჩიქოვანი თ. დარბაზული საცხოვრებელი სახლი თრიალეთში/საბჭოთა ხელოვნება. თბილისი: სადოქტორო ნაშრომი. 1955, 58-59 pp.

46. http://georgianart.ge/index.php/en/interview/164-2014-06-05-09-57-08.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.05.2022.

47. ჟიჟეკი ს. პანდემია. New York: OR Books LLC, 2020, p 5.

48.https://www.architectural-review.com/buildings/revisit-aaltos-paimio-sanatorium-continues-to-radiate-a-profound-sense-of-human-empathy, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2022.

49.https://socks-studio.com/2014/03/03/i-do-not-draw-plans-facades-or-sections-adolf-loos-and-the-villa-muller/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2022.

50.https://www.nytimes.com/2018/02/18/t-magazine/sanatorium-europe-history.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.2022.

51.https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/35025730/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.2022.

52.https://www.bbc.com/news/business-52467965, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.2022.

53. რენდი ა. პირველწყარო. თბილისი: გამომცემლობა არეტე, 2012, p 662.

54.https://www.youtube.com/watch?v=A9PL1E9s3HU, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.05.2022.

55. პლოტინი. ენნეადები. თბილისი: გამომცემლობა კარპე დიემი, 2015, 299 pp.

56.https://www.designingbuildings.co.uk/wiki/Parametricism#:~:text=Parametricism%20is%20an%20architectural%20style,development%20of%20advanced%20parametric%20design., უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2022.

57. Awad J. Boudiaf B. Islamic Heritage Architecture and Art III. UAE: Ajman University Wit press, 2020, 27-35 pp.

58. Antonovsky A. The Handbook of Salutogenesis. Switzerland: Springer Nature, 2015, 467 pp.